

რისკის კულტურა კომერციული ბანკების საქმიანობაში

ციალა ლომაია

სტუ, კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტის პროფესორი

თამარ გოგოლაშვილი

სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

რისკების მართვა უპირობოდ წარმოადგენს საბანკო სისტემის ქვაკუთხედს. რისკის კულტურა რისკების მართვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. რისკის კულტურა წარმოიქმნება ბანკის სტრუქტურული ერთეულების საერთო გამოცდილებით და განპირობებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორებით: ლიდერობა, კომუნიკაცია, ბანკის პოლიტიკა და პროცედურები. ბანკის განვითარებული რისკის კულტურა ნიშნავს, რომ ბანკის გუნდი აცნობიერებს, თუ რა რისკზე შეუძლია ბანკს წასვლა და ამავედროულად მოქმედებს შესაბამისად.

მოცემულია რისკის კულტურის და მართვის სისტემების ანალიზი, რამაც კომერციული ბანკების რისკის კულტურის გაძლიერება გამოიწვია.

საკვანძო სიტყვები: ბანკი, საბანკო სისტემა, რისკი, რისკების მართვა, რისკის კულტურა.

შესავალი

საბანკო ბიზნესი მსოფლიოში ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი და მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებებს როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე. აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებულია გლობალიზაციის შეუქცევად პროცესებთან, საკანონმდებლო ნოვაციებთან, კომპიუტერული ტექნოლოგიების სრულყოფასთან, კონკურენციის დონის ამაღლებასთან, საფინანსო ბაზრებზე ახალი

საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების დანერგვასთან. ამ პროცესში საბანკო სისტემა ეკონომიკის ფუძეა და ამდენად, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს საბანკო სისტემა მუშაობდეს შეფერხებების გარეშე, სტაბილურად, ეფექტიანად. საბანკო სისტემის სტაბილურობა მეტწილად დამოკიდებულია საბანკო რისკების სისტემის ეფექტურ მართვაზე. რისკის თითოეული სახე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ერთიანი საბანკო რისკის განსაზღვრაში.

ფინანსურ კრიზისში გამოვლენილმა საბანკო სისტემის სისუსტეებმა გვიჩვენა, რომ ქვეყნის ინტერესების რეალიზაცია კომერციული ბანკების სტაბილურად ფუნქციონირების გარეშე არ შეიძლება იქნას განხორციელებული.

საბანკო რისკების მართვის საკითხის რეგულირება საქართველოში 2008 წელს დაიწყო. რისკების მართვის სისტემა არ შეიძლება არსებობდეს რისკების კულტურის გარეშე. რისკების კულტურა დანერგილ უნდა იქნეს თითოეულ კომერციულ ბანკში და მენეჯმენტი უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ ეს კულტურა სიცოცხლისუნარიანი იყოს და გასცდეს ფაქტების მხოლოდ ფორმალურ კონსატეტირებას.

ძირითადი ტექსტი

რისკების მართვა სულ უფრო მეტად ხდება საბანკო საქმიანობის ეფექტიანობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი. შესაბამისად, აქტუალურია კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა. ამასთანავე, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს რისკ-მენეჯმენტის განუყოფელი ელემენტი - რისკების (მართვის) კულტურა. რისკ-მენეჯმენტის მიდგომები კომერციულ ბანკში ეფექტურია იმდენად, რამდენადაც განვითარებულია რისკების მართვის კულტურა ბანკში და რამდენადაც მნიშვნელოვანია ის როლი, რომელსაც რისკ-მენეჯერები თამაშობენ აღნიშნული კულტურის განვითარებაში.

2008-2009 წლების შემდგომი პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო საბანკო სფეროს გადასვლის ეტაპად განვი-

თარებულის რისკის კულტურისაკენ. განვითარებული რისკის კულტურა ნიშნავს, რომ ბანკის თანამშრომლებს, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული რისკ-მენეჯმენტის ფუნქციასთან, შეუძლიათ საუბარი რისკ-მენეჯერებთან ერთ ენაზე და ესმით, თუ რას ნიშნავს ბანკისათვის მთლიანობაში რისკის სხვადასხვა სახის მართვა და რა გავლენის მოხდენა შეუძლია მართვის ამ პროცესზე კონკრეტულ თანამშრომელს.

მისასალმებელია, რომ საქართველოს საბანკო სივრცეში საკანონმდებლო დონეზე გაესვა ხაზი რისკის კულტურის მნიშვნელობასა და დანიშნულებას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბანკში სულ მცირე, ბანკის მოცულობის შესაბამისად იყოს განვითარებული ტექნოლოგიური პლატფორმა ანუ ტექნოლოგიური შესაძლებლობები, რომელიც ეფექტურად და მარტივად უნდა ეხმარებოდეს რისკების კულტურის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესს. ბანკი უწყვეტ რეჟიმში უნდა ახორციელებდეს რისკის კულტურის შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს.

რისკის კულტურა წარმოადგენს ღირებულებებისა და ქცევის სისტემას, რომელიც ხელს უწყობს მენეჯმენტისა და თანამშრომლების გადაწყვეტილებების ფორმირებას. რისკის კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტია ორგანიზაციისა და მისი ბიზნეს მიზნების საერთო ხედვა. ბანკის თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული, რომ რისკი და შესაბამისობის მოთხოვნები შეეხება ყველას, რამდენადაც ყველა თანამშრომელი უნდა ახორციელებდეს საქმიანობას ბანკის ბიზნეს მიზნების მისაღწევად.

როგორც უკვე აღინიშნა, რისკების კულტურა კომერციული ბანკის რისკ-მენეჯმენტის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამასთანავე, იგი ბანკის წარმატებისა და ეფექტური საქმიანობის განმაპირობებელი ფაქტორია. რისკ მენეჯერები სულ უფრო მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ რისკების მართვის კულტურის განვითარებას, რის შედეგადაც დღის წესრიგში სულ უფრო ხშირად იდგეს კომერციული ბანკების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების გარდაუვალი აუცილებლობა.

რისკ მენეჯმენტი, ისევე როგორც ნებისმიერი მმართველობითი პროცესი, მკაფიოდ უნდა იყოს რეგლამენტირებული კომერციულ ბანკში. ინოვაციები წინ უსწრებს თვით ყველაზე დეტალურ და ყოვლისმომცველ საკანონმდებლო აქტებსა და ბანკის საკრედიტო პოლიტიკას. კანონმდებლობით დაურეგულირებელი საკითხების მოწესრიგება, ასევე საკანონმდებლო მოთხოვნების საბანკო საქმიანობაში განხორციელება უნდა უზრუნველყოს ე.წ. რისკის კულტურამ, ანუ რისკების მართვის კულტურამ.

შეიძლება ითქვას, რომ რაოდენ სრულყოფილიც არ უნდა იყოს რისკ-მენეჯმენტის მიერ დანერგილი და გამოყენებული ინსტრუმენტები, ისინი ეფექტურია იმდენად, რამდენადაც კომერციულ ბანკში დანერგილია რისკების მართვის სწორი კულტურა.

უდავოა, რომ რისკის კულტურა კორპორატიული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს უნდა წარმოადგენდეს და უნდა მოიცავდეს ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიურ, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო კომპონენტებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ტერმინი (რისკის კულტურა) რიგ შემთხვევებში მოიხსენიება, როგორც კორპორატიული რისკის კულტურა, რაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რისკის კულტურა კორპორატიული კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

რისკის კულტურა შეიძლება განიმარტოს როგორც რისკების მართვის სფეროში ღირებულებებისა და ცოდნის სისტემა, რომელიც გამოიყენება (უნდა გამოიყენებოდეს) კომერციული ბანკის თანამშრომლების მიერ საქმიანობის ყველა დონეზე/საფეხურზე.

ქართულ საბანკო სივრცეში რისკის კულტურა განიმარტება, როგორც ბანკში არსებული ნორმების, მიდგომებისა და სტანდარტების ერთობლიობა რისკის ადეკვატურ აღქმასთან, რისკების აღებასა და მათ მართვასთან, ასევე იმ კონტროლებთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც ხდება რისკების თაობაზე შესაბამისი გადანყვეტილებების მიღება. იქვე აღნიშ-

ნულია, რომ ბანკში დამკვეთებული რისკის კულტურა, თავის მხრივ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დირექტორატისა და თანამშრომელთა ყოველდღიური საქმიანობის, მათ შორის, რისკების შეფასების პროცესში.

რისკის კულტურა შესაძლებელს უნდა ხდიდეს რისკ-მენეჯერებსა და სხვა თანამშრომლებს შორის ინფორმაციის ჯეროვან გაცვლასა და სწორ ალქმას. რისკის კულტურა არის ორგანიზაციაში თანამშრომლების ქცევის სისტემა, რომელიც მიმართულია რისკების გამოვლენისა და მართვისაკენ.

რისკის კულტურის განვითარება რისკების მართვის მთელი სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. რისკის კულტურის განვითარების ინდიკატორებს წარმოადგენს პროგრამული საშუალებების რაოდენობის ზრდა, რომელიც საშუალებას იძლევა ავტომატიზირებულ იქნეს რისკ-მენეჯმენტის პროცესები და პროცედურები და ამდენად, აგებულ იქნეს რისკებზე ადეკვატური და ეფექტური რეაგირების სისტემა. საინფორმაციო ტექნოლოგიების არქიტექტურის ორგანიზაცია ბანკში ფასდება როგორც თანამედროვე საბანკო ბიზნესში რისკის კულტურისა და რისკ-მენეჯმენტის ელემენტი და კომერციული ბანკის კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორი.

კვალიფიციური კადრებით კომერციული ბანკის დაკომპლექტების პირობებში პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას რისკების მართვის სისტემის დანერგვის მიზნით არის რისკ-მენეჯმენტის კორპორატიული კულტურის ორგანიზება. იგი წარმოადგენს საფუძველს, რომელზეც უნდა აიგოს რისკების მართვის მთელი სისტემა.

რისკ კულტურის ჩამოყალიბება უნდა წარმოადგენდეს განგრძობად, დინამიურ და განახლებად პროცეს(ებ)ს. უდავოა, რომ რისკის კულტურა რისკების მართვაში ნებისმიერი დადებითი ცვლილების წინაპირობა და საფუძველია. სამკუთხედში: „ადამიანები, პროცესები და ტექნოლოგიები“ ადამიანები მმართველი ძალაა დანარჩენი ორი კომპონენტის განვითარებისათვის.

რისკის კულტურა საშუალებას აძლევს კომერციული ბანკის თანამშრომლებს, გააცნობიერონ რისკის არსი, ბანკისათვის მი-

საღიგო რისკის სახე და ხარისხი, ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ანალიზისათვის და გადანყვეტილებების მისაღებად.

ცხადია, ცალკეულ სუბიექტების მიერ რისკის აღქმა განსხვავებულად ხდება და რისკების დახვეწილი ტერმინოლოგიისა და კლასიფიკაციის არსებობის პირობებშიც კი ბანკის მენეჯმენტს დასჭირდება დიდი ძალისხმევა, რომ თანამშრომლების მიერ მოხდეს უნიფიცირებული მიდგომა რისკების მართვის ხედვისადმი.

დასკვნა

იმისათვის, რომ ბანკი მუდმივად ვითარდებოდეს ცვალებად გარემოში, აუცილებელია ბანკში უწყვეტად ხდებოდეს რისკების მართვის სისტემის სრულყოფა და მენეჯმენტი მოქმედებდეს ძლიერი რისკის კულტურის პრინციპების შესაბამისად.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გარდა დანერგვისა, ზემოაღნიშნულ პროცესს სჭირდება მუდმივი მხარდაჭერა, რესურსებით, ენერგიითა და ფინანსებით უზრუნველყოფა. რისკის კულტურის დანერგვა უნდა ხდებოდეს უმაღლესი მენეჯმენტის დონიდან დაწყებული ბანკის სტრუქტურის ქვედა რგოლებისკენ. ხაზობრივი მენეჯერები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია რისკის კულტურის დანერგვის პროცესში. სწორედ მათი აქტიური ჩართულობით უნდა განხორციელდეს რისკების პირველადი გამოვლენა სტრუქტურული ერთეულების დონეზე.

ადამიანური რესურსი საკრედიტო რისკის გამომწვევ ან/და მაპროვოცირებელ გარემოებად/წყაროდ უნდა იქნეს მიჩნეული, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ბანკის საკადრო პოლიტიკას. რისკების მართვის პროცესი და შესაბამისად, ბანკის საკადრო პოლიტიკა მიმართულ უნდა იქნეს რისკის მმართველ სტრუქტურულ ერთეულში რისკის ცალკეული სახეების მაკონტროლებელი თანამშრომლების შრომის დანაწილებაზე/დივერსიფიკაციაზე რისკის სახეების მიხედვით და შესაბამისად ბანკში ადეკვატური რისკების მართვის კულტურის დანერგვისაკენ.

ლიტერატურა:

1. კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი, 26/09/2018;
2. ნარმანია დ., საბანკო რისკების მართვის თავისებურებები პოსტკრიზისულ პერიოდში, TSU, CIESR, თბ., 2011;
3. Bessis Joel, Risk Management in Banking, John Wiley & Sons, 2015;
4. Lam James, Implementing Enterprise Risk Management: From Methods to Applications (Wiley Finance), Wiley & Sons LTD, USA, 2017;
5. Wagner, Daniel, Disparte, Dante, Global Risk Agility and Decision Making, 2016;
6. Jessberger Pascal, Auswirkungen von Basel III auf Risikomanagement und Risikocontrolling Chancen, Risiken, Schlussfolgerungen fuer mittelstaendische Banken, Springer Gabler, Wiesbaden, 2013;
7. Лаврушин, Красавина, Валенцева: Банковские риски, Кнорус, Москва, 2019.

REFERENCES:

1. Corporate Governance Code for Commercial Banks, 26/09/2018;
2. Narmania D., Banking Risk Management Peculiarities in the post-crisis period, TSU, CIESR, Tbilisi., 2011;
3. Bessis Joel, Risk Management in Banking, John Wiley & Sons, 2015;
4. Lam James, Implementing Enterprise Risk Management: From Methods to Applications (Wiley Finance), Wiley & Sons LTD, USA, 2017;
5. Wagner, Daniel, Disparte, Dante, Global Risk Agility and Decision Making, 2016;
6. Jessberger Pascal, Auswirkungen von Basel III auf Risikomanagement und Risikocontrolling Chancen, Risiken, Schlussfolgerungen fuer mittelstaendische Banken, Springer Gabler, Wiesbaden, 2013;
7. Lavrushin, Krasavina, Valentseva: Bank Risks, Knorus, Moscow, 2019.

RISK CULTURE IN ACTIVITIES OF COMMERCIAL BANKS

Tsiala Lomaia, Professor of GTU, CIU;
Tamar Gogolashvili, PhD Student of Georgian
Technical University, Caucasus International University

RESUME

Unconditionally, risk management is the milestone of the banking system. Risk culture is the element of risk management. Risk culture emerges with the shared experience of a structured body of a bank and are shaped by leadership, communication, policy of the bank and procedures. The developed risk culture of the bank means the team is aware of how much risk it can afford to take and act accordingly.

The present work explores the risk culture in Georgian commercial banks following the financial crisis. Moreover, it analyzes the role of risk culture and systems of risk management that lead to a strengthened risk culture in commercial banks.

Key words: Bank, Bank system, Risk management, Risk culture.